

შპს „უნიქონსტრაქშენ“

(ს/კ 405215208)

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	41 748	17 087
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	331 436	698 086
გადახდილი ავანსები		4 746	14
მარაგები	3.3	74 928	68 177
სხვა მიმდინარე აქტივები	3.4	32 438	30 150
სულ მოკლევადიანი აქტივები		485 296	813 512
არამატერიალური აქტივები		-	171
ძირითადი საშუალებები	3.5	512 469	617 262
სულ აქტივები		997 764	1 430 945
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.6	59 863	129 227
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		24 376	32 280
საგადასახადო ვალდებულებები		40 274	33 366
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		124 513	194 872
საპაიო კაპიტალი		630 547	630 547
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		242 704	605 525
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		997 764	1 430 945

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 25 სექტემბერს:

გია მუჯირი

დირექტორი

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2 023
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.7	3 617 114	5 317 056
გაყიდვების თვითღირებულება		(2 069 812)	(3 179 094)
საერთო მოგება		1 547 301	2 137 962
სხვა საოპერაციო შემოსავალი		187	7
დასაქმებულთა ანაზღაურება		(649 922)	(587 051)
ცვეთა და ამორტიზაცია		(179 450)	(180 951)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
იჯარის ხარჯი		(29 492)	(27 458)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.8	(529 548)	(670 949)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		159 077	671 560
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(749)	(1 758)
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(7 211)	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(26)	(1 472)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		151 091	668 330
მოგების გადასახადის ხარჯი		(77 087)	(55 772)
წლის (ზარალი)/მოგება		74 004	612 558
მ.შ. არამაკონტროლებელი წილი			
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		74 004	612 558

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 25 სექტემბერს:

გია მუჯირი

დირექტორი

შპს „უნიქოსტრაქშენ“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საბაიო კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	670 437	309 008	979 445
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	612 558	612 558
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	(316 041)	(316 041)
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში შენატანი	(39 889)	-	(39 889)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630 547	605 525	1 236 072
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	74 004	74 004
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	(436 825)	(436 825)
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში შენატანი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630 547	242 704	873 251

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ
და ხელმოწერილია 2025 წლის 25 სექტემბერს:

გია მუჯირი

დირექტორი

შპს „უნიკოსტრაქშენ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2 024	2 023
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	439 645	349 152
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(414 984)	(340 128)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		-
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	24 661	9 024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	17 087	9 911
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	(1 848)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	41 748	17 087

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 25 სექტემბერს:

გია მუჯირი

დირექტორი

**2024 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „უნიქონსტრაქშენ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 28 ივნისს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405215208, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ატენის ქუჩა №18ბ, ბინა №22. ფაქტობრივი მისამართი - თბილისი ვაკე-საბურთალო აღმაშენებლის ხეივანი 12.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2017 წლის 1 დეკემბრიდან.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: გია მუჯირი (პ/ნ 01017001181) - 50% წილის მფლობელი; დავით გიორგობიანი (პ/ნ 01017000104) - 50% წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის დირექტორი არის გია მუჯირი (პ/ნ 01017001181).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სამშენებლო ტექნიკით მომსახურება, ბეტონის წარმოება.

1.5. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 22 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების

შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი;

1 EUR=2.9306 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

ლარი	12/31/2024	12/31/2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	40 869	16 566
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	279	279
ევრო საბანკო ანგარიშებზე	600	241
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	41 748	17 087

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

ლარი	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	331 436	698 086
სულ სავაჭრო მოთხოვნები	331 436	698 086

3.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

ლარი	12/31/2024	12/31/2023
საწვავ-საცხები მასალები	11 488	9 406
სხვა მარაგები	63 440	58 771
სულ მარაგები	74 928	68 177

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

ლარი	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების მიმართ	-	-
ზედმეტობა საპენსიო სააგენტოსთან	118	142
წინასწარ გადახდილი ხელფასი	5 855	12 880
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	26 265	16 927
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	200	200
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	32 438	30 150

3.5. ძირითადი საშუალებები:

ლარი	ავეჯი და ინვენტარი	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპ. ტექნიკა და მოწყობილობები	სპეციალური ინსტრუმენტები	სხვა ამორტიზებადი ძ.ს.	სულ
საბალანსო ღირებულებ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	74 685	588 644	5 254	82 158	30 256	780 998
ზრდა ან შემცირება	-	-	8 119	-	7 857	148	16 124
დარიცხული ცვეთა	-	(13 937)	(121 418)	(2 520)	(37 427)	(4 557)	(179 860)
საბალანსო ღირებულებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	60 748	475 345	2 734	52 588	25 847	617 262
ზრდა ან შემცირება	2 886	-	56 708	3 389	11 335	169	74 486
დარიცხული ცვეთა	(180)	(13 937)	(124 657)	(2 155)	(34 141)	(4 209)	(179 280)
საბალანსო ღირებულებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 705	46 811	407 396	3 968	29 782	21 806	512 469

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

ლარი	12/31/2024	12/31/2023
ვალდებულებები რეზიდენტი პირების მიმართ	59863.28	129 227
სულ სავაჭრო ვალდებულებები	59 863	129 227

31.12.2024 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მხოლოდ რეზიდენტი მიმწოდებლების წინაშე.

3.7. შემოსავალი

ლარი	2024	2023
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	956 930	1 100 351
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1 243 147	1 524 665
შემოსავლები სამშენებლო მომსახურებიდან	1 415 997	2 544 007
სხვა ამონაგები	1 040	148 033
სულ შემოსავალი	3 617 114	5 317 056

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

ლარი	2024	2023
საკომუნიკაციო ხარჯები	1 828	2 274
კომუნალური ხარჯები	4	12
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	10 739	11 388
საგადასახადო ხარჯი	5 648	7 613
საბანკო ხარჯები	2 122	1 853
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	483 471	610 601
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	25 736	37 207
სულ ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	529 548	670 949

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

შპს „უნიკონსტრაქშენ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	მუნიშვნა	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	41 748	17 087
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	331 436	698 086
გადახდილი ავანსები		4 746	14
მარაგები	3.3	74 928	68 177
სხვა მიმდინარე აქტივები	3.4	32 438	30 150
სულ მოკლევადიანი აქტივები		485 296	813 512
არამატერიალური აქტივები		-	171
ძირითადი საშუალებები	3.5	512 469	617 262
სულ აქტივები		997 764	1 430 945
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.6	59 863	129 227
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		24 376	32 280
საგადასახადო ვალდებულებები		40 274	33 366
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		124 513	194 872
საპაიო კაპიტალი		630 547	630 547
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		242 704	605 525
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		997 764	1 430 945

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწეულია 2025 წლის 25 სექტემბერს:



გია მელიქიძე

დირექტორი

შპს „უნიკონსტრუქშენ“

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2024	2 023
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.7	3 617 114	5 317 056
გაყიდვების თვითღირებულება		(2 069 812)	(3 179 094)
საერთო მოგება		1 547 301	2 137 962
სხვა საოპერაციო შემოსავალი		187	7
დასაქმებულთა ანაზღაურება		(649 922)	(587 051)
ცვეთა და ამორტიზაცია		(179 450)	(180 951)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		-	-
იჯარის ხარჯი		(29 492)	(27 458)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	3.8	(529 548)	(670 949)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		159 077	671 560
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(749)	(1 758)
ფინანსური აქტივების გაუფასურება		(7 211)	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(26)	(1 472)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		151 091	668 330
მოგების გადასახადის ხარჯი		(77 087)	(55 772)
წლის (ზარალი)/მოგება		74 004	612 558
მ.შ. არამაკონტროლებელი წილი			
სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		74 004	612 558

წინამდებარე მდგომარეობის ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 25 სექტემბერს:



გია მ. მ. მ.
დირექტორი

შპს „უნიკონსტრაქშენ“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საპაიო კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	670 437	309 008	979 445
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	612 558	612 558
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	(316 041)	(316 041)
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში შენატანი	(39 889)	-	(39 889)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630 547	605 525	1 236 072
მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	74 004	74 004
განაწილებულია მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)	-	(436 825)	(436 825)
მესაკუთრეებზე დაბრუნებული კაპიტალში შენატანი	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	630 547	242 704	873 251

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2025 წლის 15 სექტემბერს:

გია მუჯირი

დირექტორი



შპს „უნიკონსტრუქშენ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2 024	2 023
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	439 645	349 152
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(414 984)	(340 128)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		-
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	24 661	9 024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	17 087	9 911
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	(1 848)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	41 748	17 087

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწეულია 2025 წლის 25 სექტემბერს:



გია მუჯირი
დირექტორი